



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1402  
26/07/2018

ქალაქი ბათუმი

1402-05-4-201807261630



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების მობილური ტელეფონების ხარჯების უზრუნველსაყოფად თანხის გამოყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1150 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მოქალაქე შორენა ფაღვა 2018 წლის 25 ივლისის №10013/05 განცხადების თანახმად ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების მობილური ტელეფონების ხარჯების უზრუნველსაყოფად თანხის გამოყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1150 ბრძანებაში და ამავე ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა